<u>დანართი N5</u>

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას სრული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის – არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ - პროფესორისათვის – არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სრული პროფესორი - თვეში 1000 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 800 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 600 ლარი.

2. დანამატი შეიძლება მიეცეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მხოლოდ იმ აკადემიურ პერსონალს, ვინც შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა).

3. დანამატი განისაზღვროს ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.